

ზვიად დოლიძე

კინოსტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. გამოქვეყნებული აქვს ხუთი წიგნი (სამი სახელმძღვანელო და ორი მონოგრაფია): “ქართული კინო”, “მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორია. უხმო კინო”, “ვესტერნი: ისტორია და ფილმი”, „აკირა კუროსავას კინოსამყარო“ და „მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორია. 1930-1960-იანი წლები“, აგრეთვე 40-მდე სამეცნიერო სტატია. როგორც ქართულ, ისე საზღვარგარეთულ პერიოდულ პრესაში. არის საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი, მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში, იყო ჟიურის წევრი რამდენიმე საერთაშორისო კინოფესტივალზე, წლების განმავლობაში უძღვებოდა საკუთარ საავტორო პროგრამებს: “კინოდოკუმენტალისტის თვალით”, “ილუზიონი”, “ძველი კინოკლასიკა” და “ოსკარი” ჩვენს ეკრანზე” საქართველოს სხვადასხვა ტელეკომპანიაში.

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორად მუშაობს 1992 წლიდან. კითხულობდა ლექციებს მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიაში, საზღვარგარეთის კინოს ისტორიაში, ქართული კინოს ისტორიასა და კინოკრიტიკაში. ამჟამად არის ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი (სრული პროფესორი), კინოს ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, კითხულობს ლექციებს მსოფლიო კინოს ისტორიაში ბაკალავრიატის საფეხურზე, ხელმძღვანელობს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს.